

სამედიცინო კაზუსი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო

უნივერსიტეტის გამომცემი

გამოცემის 1957 წლიდან

№9 (287) ნოემბერი, 2015 წ. www.tsmu.edu

კაზუსი



კლოცავი
კოორკობის
ბრწყინვალე
ფლესწაყალ!

აკადემიური საბჭოს სხდომაზე

თსუ-ის კლინიკის პროფასორის სტაჟისი მიანიჭა

ახლახან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, აკადემიური საბჭოს სხდომაზე, უნივერსიტეტის დიპლომისმემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა, **ზაზა ზოხუამ** საბჭოს წევრებს წარუდგინა თსუ-ის პროფესიული საბჭოს რეკომენდაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკის პროფესორის სტაჟისის მინიჭების შესახებ:

მედიცინის აკადემიური დოქტორი **დიმიტრი აბულაშვილი** – საქართველოს ნეონატოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი ნეონატოლოგიაში, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური ნეონატოლოგიის დეპარტამენტის და დავით გაგუას კლინიკის ნეონატოლოგიური სექტორის ხელმძღვანელი, თსუ-ის ნეონატოლოგიის სპეციალისტის სარეზიდენტო პროგრამის მოდულზე პასუხისმგებელი პირი;

მედიცინის აკადემიური დოქტორი **ზვიად ბახუტაშვილი** – საქართველოს კარდიოქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ევროპის გულსა და გულ-მკერდის ქირურგიის ასოციაციის წევრი, აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის გულის ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელი, თსუ-ის კარდიოქირურგიის სპეციალისტის სარეზიდენტო პროგრამის დირექტორი;

მედიცინის აკადემიური დოქტორი **ლევან ბეჟანიძე** – საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი, ბათუმის სამშობიარო სახლის დირექტორი, თსუ-ის მეანობა-გინეკოლოგიის სარეზიდენტო პროგრამის მოდულზე პასუხისმგებელი პირი;

მედიცინის აკადემიური დოქტორი **თემურ გაბაიძე** – საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის წევრი, შპს „ბათუმის სამშობიარო სახლის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, თსუ-ის მეანობა-გინეკოლოგიის სპეციალისტის სარეზიდენტო პროგრამის მოდულზე პასუხისმგებელი პირი;

მედიცინის აკადემიური დოქტორი **დავით გაგუა** – საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის საბჭოს წევრი, დავით ტვილიძის სახელობის უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, შპს „დავით გაგუას

კლინიკის“ დირექტორი, თსუ-ის მეანობა-გინეკოლოგიის სპეციალისტის სარეზიდენტო პროგრამის მოდულზე პასუხისმგებელი პირი;

მედიცინის აკადემიური დოქტორი **რეზო გაგუა** – საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს თორაკალურ ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ევროპის თორაკალურ ქირურგთა ასოციაციის წევრი, საქართველოს სახელმ-

საქართველოს ესთეტიკური რეკონსტრუქციული და პლასტიკური ქირურგიის საზოგადოების პრეზიდენტი, რეკონსტრუქციული და პლასტიკურ ქირურგთა საერთაშორისო კონფედერაციის წევრი, შპს „კუზანოვ კლინიკის“ დამფუძნებელი და სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თსუ-ის პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგიის სპეციალისტის სარეზიდენტო პროგრამის დირექტორი;

მედიცინის მეცნიერებათა დოქ-

ციის წევრი, ევროპის ანდროლოგთა აკადემიის ნამდვილი წევრი, ინ ვიტრო განაყოფიერებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კლინიკის „ინ ვიტროს“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, თსუ-ის მეანობა-გინეკოლოგიის სპეციალისტის სარეზიდენტო პროგრამის მოდულზე პასუხისმგებელი პირი;

მედიცინის აკადემიური დოქტორი **ნატალია ხონელიძე** – საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის და ინ ვიტრო განაყოფიერების ასოციაციის გამგეობის წევრი, რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრ „ინ ვიტროს“ დამფუძნებელი და დირექტორი, თსუ-ის მეანობა-გინეკოლოგიის სპეციალისტის სარეზიდენტო პროგრამის მოდულზე პასუხისმგებელი პირი;

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **შოთა ჯაფარიძე** – საქართველოს მეცნიერებათა



წიფო პრემიის ლაურეატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, თსუ-ის კლინიკური ონკოლოგიის სპეციალისტის სარეზიდენტო პროგრამის დირექტორი;

მედიცინის აკადემიური დოქტორი **მიხეილ ზიმლიცკი**, საქართველოს ორთოპედ-ტრავმატოლოგთა ასოციაციის წევრი, საქართველოს ართროსკოპისტთა საზოგადოების წევრი, ქირურგ-ორთოპედთა და ტრავმატოლოგთა საერთაშორისო საზოგადოების წევრი, ართროსკოპისტთა, მუხლის სახსრის ქირურგთა ორთოპედული სპორტული მედიცინის საერთაშორისო საზოგადოების წევრი, ამერიკის ქირურგ-ორთოპედთა აკადემიის წევრი, კლინიკა „მედიქლაბ ჯორჯიას“ ქირურგ-ორთოპედ-კონსულტანტი, თსუ-ის ორთოპედია-ტრავმატოლოგიის სპეციალისტის სარეზიდენტო პროგრამის დირექტორი;

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **მამია ზოდელავა** – საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ქართულ-ამერიკული მედიცინის და ქირურგიის აკადემიის წევრი, საქართველოს ჰემატოლოგთა ასოციაციის წევრი, ჰემატოლოგიისა და ქიმიოთერაპიის კლინიკა „ჰემას“ დირექტორი, თსუ-ის ჰემატოლოგია-ტრანსფუზიოლოგიის სპეციალისტის სარეზიდენტო პროგრამის დირექტორი;

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ივა (ივანე) კუზანოვი** – საქართველოს სამედიცინო ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, ანგიოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილი წევრი,

მედიცინის აკადემიური დოქტორი **პლატონ მაჭავარიანი** – საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თსუ-ის მეანობა-გინეკოლოგიის სპეციალისტის სარეზიდენტო პროგრამის მოდულზე პასუხისმგებელი პირი;

მედიცინის აკადემიური დოქტორი **სამსონ ქაჯავია** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ანესთეზიოლოგიის და რენანიმატოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, სამედიცინო სამსახურის ვიცე-პოლკოვნიკი, თსუ-ის ანესთეზიოლოგიისა და რენანიმატოლოგიის სპეციალისტის სარეზიდენტო პროგრამის დირექტორი;

მედიცინის აკადემიური დოქტორი **ავთანდილ ყაზბარაშვილი** – საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის წევრი, შპს „ავთანდილ ყაზბარაშვილის კლინიკის“ დირექტორი და კლინიკური ხელმძღვანელი, ლირსების ორდენის კავალერი, თსუ-ის მეანობა-გინეკოლოგიის სპეციალისტის სარეზიდენტო პროგრამის მოდულზე პასუხისმგებელი პირი;

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **გია ცაგარეიშვილი** – საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის და ინ ვიტრო განაყოფიერების ასოციაციის პრეზიდენტი, ემბრიოლოგთა საერთაშორისო საზოგადოების წევრი, ევროპის რეპროდუქციოლოგთა ასოციაციის წევრი, ევროპის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის ასოციაცი-

ის და საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ოტორინოლარინგოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტი, ამერიკის ოტორინოლარინგოლოგიის და თავის და კისრის ქირურგიის აკადემიის საერთაშორისო წევრი, გერმანიის ოტორინოლარინგოლოგიის და თავის და კისრის ქირურგიის ასოციაციის წევრ-კორესპონდენტი, ოტორინოლოგიის და თავ-კისრის ქირურგიის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, ევროპის ოტოლოგთა და ოტონევროლოგთა აკადემიის რეგიონული მდივანი, ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრის – „ჯავარიძე-ქვეციანიშვილის კლინიკის“ დირექტორი, თსუ-ის ოტორინოლარინგოლოგიის სპეციალისტის სარეზიდენტო პროგრამის დირექტორი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ** აღნიშნა, რომ თითოეულ მათგანის ღვაწლი გამორჩეულია თსუ-ის წინაშე.

მათი მონდომებისა და ძალისხმევის შედეგად, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები და რეზიდენტები მრავალი წელია იძენენ პროფესიულ ცოდნა-გამოცდილებას.

უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ ნინციბატის ღვაწლმოსილი მედიკოსებისთვის, როგორც მეცნიერებათა, ისე – აკადემიური დოქტორებისთვის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკის პროფესორის“ სტატუსის მინიჭების შესახებ.

ნომერია:
მნიშვნელოვანი პიზიტით პაპინგტონში
33. 2
სიახლე სასწავლო პროცესში
33. 3
დალი გაგუიას ბახსენაპა
33. 4,5,6

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია:
 ვაჟა ფშაველას გამზირი №33;
 ოთახი №600
 ტ.: 254-24-64
 კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
 ტ.: 555 29-98-27
დარეჯან კომლაძე
 ტ.: 558 17-08-47
ნატო გოლქვაძე
 ტ.: 555 28-28-97
 ელ.ფოსტა:
 medpressa@yahoo.com

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული

მიმდინარე წლის 10 ნოემბერს – მეცნიერების საერთაშორისო დღეს, პირველად საქართველოში, თბილისში, „ექსპო-ჯორჯიას“ პავილიონში საზეიმოდ გაიხსნა მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული.

კვირეული გახსნეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ, რომელთაც წარმატებები უსურვეს კვირეულის მონაწილეებს და დაათვალიერეს უწყებების მიერ წარმოდგენილი სტენდები.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოფენამ, რომელზეც წარმოდგენილი იყო თსუ-ის უახლესი სამედიცინო ნაშრომები, სახელმძღვანელოები, მეთოდური რეკომენდაციები; თსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტმა და ვლადიმერ ბახუტაშვილის ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა წარმოადგინეს თავიანთი მიღწევები, სამეცნიერო ნაშრომები და სხვადასხვა თვალსაჩინოებები.

კვირეულის ფარგლებში სამედიცინო უნივერსიტეტში დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებები: ტრენინგები, სემინარები, საჯარო ლექციები, კონფერენციები და ექსკურსიები.



სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია



შესანიშნავი ტრადიცია გაქცეს: ყოველწლიურად, ოქტომბრის თვეში, პედიატრთა ფორუმი იმართება. წელს იგი მერვედ ჩატარდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეგიდით, პედიატრთა ასოციაციის, ბავშვთა და მოზარდთა ჯანდაცვის ასოციაციის, ფონდი „სი-ჯანსაღის“ მონაწილეობით, ფორმების: „ბიოქიმიკარი“, „ასფარმა“, „ასტელა“, „ჯიპისი“, „ფრისო“, „სვისდოქტორი“ თანადგომით. საორგანიზაციო კომიტეტს წარმოადგენდნენ: ქ. ბერიძე, ი.ა. კორინთელი, ნ. მანჯავიძე, ლ. ყორყორაძე, ნ. უბერი, ი. ფაველინიშვილი, ყ. ფალავა (თავმჯდომარე), რ. ქარსელაძე, მ. ხოჭავაძე.

კონფერენცია მიეძღვნა ბრწყინვალეების ორდენის კავალერის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ჩვენი უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრის, ავთანდილ კვეზერელი-კობაძის დაბადებიდან 90 წლისთავს.

საზეიმო სხდომას უძღვებოდა უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია. მოხსენება „ავთანდილ კვეზერელი-კობაძე – ექიმი და მოქალაქე“ წაიკითხა ყ. ფალავამ. მისალმებებით გამოვიდნენ: ნ. მანჯავიძე, რ. სვანიშვილი, ნ. უბერი, რ. ქარსელაძე, მ. ხოჭავაძე, გ. ჩახუნაშვილი. ბატონმა ავთანდილმა დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა თავისი შეხედულებები პედიატრის განვითარების შესახებ.

სამუშაო სხდომებზე წარმოდგენილი იყო შემდეგი მოხსენებები: „ეოზინოფილიის პრაქტიკული ალგორითმი პედიატრიულ პრაქტიკაში“ (მარინა კვეზერელი-კობაძე, ავთანდილ კვეზერელი-კობაძე, თონა დევედარიანი); „ცელიაკია – კვლევითი სიმპტომები, დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ (ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ბონის უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი, მიხეილ ლენტეცი); „Helicobacter Pylori – ინფექცია ბავშვთა ასაკში – დიაგნოსტიკისა და მართვის თანამედროვე ასპექტები“ (მირიანა კუჭუბიძე, მარინა ჩიქოვანი, ქეთევან მაყაშვილი), „ანაფილაქსია



ბავშვებსა და მოზარდებში“ (რუსუდან ქარსელაძე), „ანტიბიოტიკოპრეპარატები“ (მაია ოკუჯავა), „სინუსიტების მართვა პედიატრიულ პრაქტიკაში“ (ნუგზარ უბერი, ეკა უბერი, მარინა ჩიქოვანი), „პედიატრიული ასთმა: ასაკ-სპეციფიური მართვა“ (ლია ყორყორაძე), „არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოსტიკა და მართვა თანამედროვე რეკომენდაციების კონტექსტში“ (ფოკუსით ბავშვთა და მოზარდთა ჰიპერტენზიაზე – ზურაბ ფალავა, რუსუდან აგლაძე), „პოლიურია-პოლიდიფსია პედიატრის პრაქტიკაში – სამოქმედო ალგორითმი“ (ირაკლი ფალავა), „იმუნო-ზაციის ეროვნული კალენდარი, ვაქცი-

ნაციის ჩვენებები და უკუჩვენებები“ (თამარ ჯოხთაბერიძე, მანანა ხოჭავაძე, იამზე შალამბერიძე, გიორგი ხოჯორიანი), „TORCH ინფექციები: მითები და რეალობა“ (ბესარიონ ტყეშელაშვილი), „საკვების მიღებაზე უარის თქმა ახალშობილებსა და სამ თვემდე ასაკის ჩვილებში“ (ირაკლი ფაველინიშვილი, თამარ გოთუა), „ჩუტყვაკვლის მიმდინარეობა და პრევენციის საკითხები“ (მანანა ხოჭავაძე, თამარ ჯოხთაბერიძე, იამზე შალამბერიძე, მარინა მახარაშვილი), „ანაფილაქსია და ერგოფერონის კლინიკური ეფექტურობა რესპირაციული დაავადებების დროს ბავშვებში.“ (საკუთარი კვლევის შედეგები – ყარა-

მან ფალავა, ირინე ა. კორინთელი), „გასტროზოფაგალური რეფლუქსის მართვის თანამედროვე პრინციპები“ – From grass to glass ... ბალახიდან ჭიქამდე... (ბავშვთა კვების „ფრისოს“ წარმოების ტექნოლოგიური თავისებურებები).

კონფერენციის თემატიკას ფართოდ გაამუქებს სატელევიზიო არხი „პულსი“, რომლის საშუალებითაც ღონისძიებაზე წარმოდგენილი მოხსენებები პერიოდულად გადაიცემა. მასალების კრებულში (რედაქტორი ყ. ფალავა) დაიბეჭდა და დარიგდა მონაწილეებში. ღონისძიებას დაესწრნენ ექიმები როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან.

კონსერვაცია

ბიოხელოვნების დაცვით ჰაბიტატი

ახლანან ვაშინგტონში, ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტების (NIH-ის) ნეტჩერის საკონფერენციო ცენტრში, უკვე მეექვსედ, ჩატარდა საერთაშორისო ყოველწლიური კონფერენცია „უსადენო ჯანმრთელობა“, რომელიც ორგანიზებული იყო უსადენო ჯანმრთელობის მეცნიერებათა ალიანსის (პრეზიდენტი რობერტ მაკ კრეი) და ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტების (უფროსი მეცნიერი მუშაკი ვენდი ნილსენი) მიერ (www.wirelesshealth 2015.org).

აღნიშნული კონფერენციის მალალი დონე არა იმდენად კონფერენციის მონაწილეთა რაოდენობით (სულ დარეგისტრირებული იყო 250-ზე მეტი მონაწილე), არამედ მათი და, განსაკუთრებით, მთავარ მომხსენებელთა, სამეცნიერო რეპუტაციით და მონაწილე ორგანიზაციათა კალიბრით განისაზღვრებოდა.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგან სნეულებათა მიმართულების ასოცირებული პროფესორი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე ზვიად პირტაძე, რომელიც მოხსენებით წარდგა მნიშვნელოვანი აუდიტორიის წინაშე. გარდა ამისა, მას ჰქონდა საინტერესო შეხვედრები კონფერენციის ორგანიზატორებთან, უცხოელ კოლეგებთან, სახელმწიფო მოღვაწეებთან.

ამ მნიშვნელოვანი ვიზიტის შესახებ ვაშინგტონში ბ-ნი ზვიად კირტაძე თავად მოგვიყვება:

აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება მოხერხდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამოგზაურო გრანტების კონკურსში გამარჯვების წყალობით. 14 ოქტომბერს გაიმართა 4 სემინარი, ხოლო ძირითად სესიებს დაეთმო 15 და 16 ოქტომბერი. დავესწარი უსადენო საინტერესო 2 სემინარს – მანქანებით განხორციელებული სწავლების და სამეცნიერო კვლევების დაფინანსების და საგრანტო წინადადებების NIH-ის და აშშ-ის ეროვნული სამეცნიერო ფონდის NSF-ის შეფასების კრიტერიუმების საკითხებზე.

მქონდა შეხვედრები კონფერენციის ორგანიზატორებთან: პარფერდის უნივერსიტეტის პროფესორ პაოლო ბონატოსთან, რომელსაც 2012 წლიდან ვიცნობ, ასევე – სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის პროფესორ დონა სპრუიჯტ-მეტთან და აშშ-ის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (NSF) უფროს ოფიცერ ვენდი ნილსენთან.

15 ოქტომბერს მქონდა მოკლე შეპირი მოხსენება პლენარულ სხდომაზე, – დერმატოლოგიური პაციენტების

ტელედერმოსკოპიულ ტელემონიტორინგზე და კანის კიბოს სკრინინგზე ელექტრონული და მობილური ჯანმრთელობის აპლიკაციების გამოყენება. აღნიშნული სამეცნიერო მოხსენება თსუ-ის დერმატოლოგიის კათედრის პროფესორების: ნატალია კილაძის, ნატო კორსანტიას და დოქტორანტ თონა შულაისთან ერთად ჩატარებული სამეცნიერო თემის შეჯამებაა, რომელიც 2014 წელს დაინიშნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, აშშ-ის სამოქალაქო კვლევისა და განვითარების ფონდის CRDF-Global და საქართველოს სამეცნიერო განვითარების ფონდის ერთობლივი მკვიდრ გრანტით და წელს დასრულდა. კვლევის ფარგლებში ჩვენ შევისწავლეთ 433 დერმატოლოგიური პაციენტი; მათგან 230 – თბილისში, დერმატოლოგიური კლინიკა „მარჯანის“ ბაზაზე, ხოლო 203 პაციენტი – ბათუმის საზღვაო პოსპიტალში (განც. გამგე – თიმიურაზ გოგიტიძე), მათი დერმოსკოპიული გამოსახულების მონიტორინგი და ელექტრონული ტელემონიტორინგის და პაციენტთან ელექტრონული რეეს-



ტრის მონაცემების დინამიკაში კონტროლის მეშვეობით, რაც კანის კიბოს და მელანომების დროული დიაგნოსტიკის საუკეთესო საშუალებას იძლევა. დერმოსკოპია, ანუ ეპიდემიოლოგიური მიკროსკოპია, შედარებით ახალი მეთოდია, რომლის განვითარებას მძლავრი იმპულსი მისცა მობილურმა ტელემედიცინამ. კერძოდ, ჩვენ ვიყენებდით დერმატო-ის ტიპის დერმოსკოპებს, რომლებიც მიერთებული იყო ანდროიდის ტიპის სამსუნგ გალაქსი სმარტფონთან. დერმოსკოპული გამოსახულების შეფასება ხდებოდა პროფ. ჰ. კიტლერის (ვენის სამედიცინო უნივერსიტეტის დერმატოლოგიურ განყოფილება) სტრუქტურის ანალიზის მეთოდოლოგიით. მოხსენებამ და შემდეგ პოსტერის დემონსტრაციამ აუდიტორიის დაინტერესება გამოიწვია.

იმავე დღეს მქონდა ვაშინგტონში ხასიათის შეხვედრები: აშშ-ის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (NSF) ინფორმაციის და დახვეწილი სისტემების განყოფილების გამგე ლინ პარკერთან, ვისკონსინის უნივერსიტეტის ინდუსტრიული და სისტემების ინჟინერიის პროფესორ დევიდ გუსტაფსონთან, ილინოისის უნივერსიტეტის (შამპანა-ურბენის) ელექტრონული ინჟინერიის და კომპიუტერული მეცნიერების პროფესორ ჯონ როჯერსთან, რომლებმაც კონფერენციაზე ძალზე საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს. ხოლო 16 ოქტომბერს – NIH-ის დირექტორ-

მადაგილე ქეთი ჰადსონთან, NIH-ის ქვევითი და სოციალური მეცნიერების კვლევის ოფისის დირექტორ უილიამ რილისთან, კიბოს ეროვნული ინსტიტუტის (NCI) პროგრამის დირექტორ ქეროლ ვილთან. გაცივანი უსადენო ცხოვრების მეცნიერებათა ალიანსის (WLSA) პრეზიდენტი რობერტ მაკ კრეი, არიზონის უნივერსიტეტის პროფესორი კევინ გარი და სკრიპსის

მოხარულია, რომ ამ პროგრამის ინიცირებაში NIH-ის, NIAID-ის, ფოგარტის საერთაშორისო ცენტრის და CDC-ის წვლილიც არის. მას ძალიან მოეწონა სიმსენებების დიაგნოზის და მკურნალობის მხრივ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დაგეგმილი ნაბიჯები და თქვა, რომ როგორც CDC-ის, ასევე, ფოგარტის და NIH-ის ჩართულობა სიმსენებების ადრონული მკურნალობის ამჟამად უკვე გამოცხადებულ, მომავალი ცენტრის სამეცნიერო მუშაობაში ძალიან სასარგებლო იქნებოდა.



შეხვედრა სახელმწიფო დეპარტამენტში

ტრანსლაციური მეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი მედიცინის დირექტორი სტივ სტინიშაბლი.

16 ოქტომბერს ვეფოგარტის საერთაშორისო ცენტრში შევხვდი FIC-ის ევრაზიის განყოფილების გამგეს ბატონ კენ ბრიდბორდს. შეხვედრას დაესწრო ვაშინგტონში საქართველოს ელჩის თანაშემწე თამარ ქვლიძე. ბ-ნი ბრიდბორდი ნამყოფია საქართველოში და ახსოვს შიღის და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრის, ასევე, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის და ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის ნაყოფიერი საქმიანობის შესახებ გაკეთებული ანგარიშები და მოხსენებები, როგორც თბილისში, ასევე ვაშინგტონში. აღნიშნა, რომ საქართველოში C ჰეპატიტის მკურნალობის უნივერსალურ პროგრამას მთელი მსოფლიოს მასშტაბით ანალოგი არ გააჩნია და

გარდა ამისა, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწეს, შეხვედრები მქონდა სახელმწიფო დეპარტამენტში, სახელმწიფო მდივნის მრჩეველის მადაგილესთან მეცნიერების და ტექნიკის საკითხებში, ფრენსის კოლონთან, მისი და საქართველოს ოფისის სხვა წარმომადგენლებთან; ბრუკინგის ინსტიტუტში და ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტში; ასევე, საქართველოს ელჩთან ამერიკაში, ბატონ არჩილ გეგუმიძესთან და მის თანაშემწეებთან, გიორგი ხელაშვილსა და თამარ ქვლიძესთან. ამ შეხვედრებზე განვიხილეთ საქართველოში მეცნიერების და, განსაკუთრებით, სამედიცინო დარგის მეცნიერული პოტენციალის და პროგრამების გაფართოების და ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების საკითხები.

ანბნობით მიზნობით „სულიათანა“!

დალი გაბუნიას ბაოსათხოვარი



ღვანელობით გაზეთი მრავალ-ფეროვანი და საინტერესო გახდა. თავადაც ახალგაზრდამ, ირგვლივ მამინდელი სტუდენტური აქტივი – გონიერი, შემოქმედებითად მოაზროვნე ახალგაზრდები, შემოიკრიბა. ამ პერიოდის „მედიცინის მუშაკის“ ნომრების გაცნობისას ნათელი ხდება თუ რამდენი მნიშვნელოვანი მოვლენა აღუნუსხავს გაზეთს.

1992 წლიდან გაზეთს „სამედიცინო გაზეთი“ ეწოდა. მან გარკვეული წვლილი შეიტანა სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლების რეფორმირების და ინსტიტუციური რეორგანიზაციის საქმეში. გაზეთთან სისტემატურად თანამშრომლობდნენ ქართული სამედიცინო საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები – პროფესორ-მასწავლებლები, სახელგანთქმული ექიმები.

სწორედ ქალბატონი დალის ხელმძღვანელობის დროს გაზეთის მუშაობა რამდენჯერმე წარმატებულად შეფასდა რესპუბლიკური პრესისა თუ საქართველოს ყურნალისტა კავშირის მიერ.

ყოველთვის უაღრესად მობილიზებულს, ქვეყნის თუ უნივერსიტეტის ყოველდღიური ცხოვრების სიღრმისეულ ნიუანსებში ჩახედულს, შესანიშნავად ძალუძდა მეტად საპასუხისმგებლო საქმის ობიექტური აღქმა და, შესაბამისად, „დამდგმელი რეჟისორის“ თუ „დირიჟორის“ როლების ჰარმო-

ნიული შერწყმა-შესრულება.

ქალბატონი დალი გაბუნიას სტატიები, პუბლიკაციები თუ ინტერვიუები მედიცინის სხვადასხვა უმნიშვნელოვანეს საკითხზე ღრმად შინაარსით, პრობლემის სიმწვავის და აქტუალობის ნათლად წარმოჩენით გამოირჩეოდა. გაცნობიერებული ჰქონდა რა ჟურნალისტიკის პროფესიის სირთულე და მნიშვნელობა, არასოდეს უღალატია პროფესიული ღირსებისთვის – სიმართლის თქმისთვის მუდამ მზადმყოფი, არც შემხვედრ სირთულეებს უშინდებოდა.

შეუძლებელია არ აღინიშნოს მისი აქტიური პოზიციის შესახებ ეროვნული მოძრაობის პერიოდშიც – ქვეყნის ბედზე მუდმივად მოფიქრალი, მოვლენების ეპიცენტრში იდგა და არას იშურებდა სიმართლის დასაცავად.

36 წელი ერთგულად იღვანა სამედიცინო უნივერსიტეტში, რომელიც ძალიან უყვარდა და ეამაყებოდა.

სამედიცინო უნივერსიტეტი და მისი მშობლიური გაზეთი ემშვიდობება ღირსეულ პიროვნებას, არაჩვეულებრივ პროფესიონალს, კოლეგას, მეგობარს, დედას, მეუღლეს, ბებიას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და ადმინისტრაცია იუნჯებიან, რომ გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სამედიცინო გაზეთის“ რედაქტორი დალი გაბუნიას.

ჟურნალისტი, რომელიც 1979 წლიდან დღემდე ღირსეულად უძღვებოდა გაზეთის რედაქტორის მეტად საპასუხისმგებლო და უმნიშვნელოვანეს საქმეს.

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის წარჩინებით დასრულების შემდეგ, ქალბატონმა დალიმ მუშაობა დაიწყო სამედიცინო ინსტიტუტის მრავალტორიანი გაზეთ „მედიცინის მუშაკი“, სწორედ იმ გაზეთში, რომელსაც სადიპლომო ნაშრომი მიუძღვნა.

ქალბატონი დალის ხელმძ-

ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ თითოეული ადამიანი განუმეორებელია, შეუცვლელი, შეუფასებელი და ერთადერთი!! და მაინც მიხდება იმის აღიარება, რომ განვლილი ცხოვრებით, სამწუხაროდ, ყველა ადამიანი როდი გვიდასტურებს ხოლმე ამას თვალსაჩინოდ და ნათლად. ამის საპირიწოდ, საბედნიეროდ, ჩვენ გვერდით გამოჩნდებიან ხოლმე პიროვნებები, რომელთა არსებობა, ცხოვრება და მოღვაწეობა უნიკალურ კვალს ტოვებს.

მე ჩვენს მეგობარსა და კოლეგა-ჟურნალისტზე, ჭეშმარიტ მოქალაქე-სა და დიდებულ ქალბატონზე დალი გაბუნიასზე მოგახსენებ.

რომ არა ქალბატონი დალი, „სამედიცინო გაზეთი“ ამგვარი არ იქნებოდა – ასე მიმზიდველი, საქმიანი, საინტერესო, მაღლიანქართულსიტყვიანი, როგორც დღესა და როგორც იყო აგერ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში.

რომ არა ქალბატონი დალი, მე ასე ხშირად როდი ვიქნებოდი ჩვენი არაჩვეულებრივი გაზეთის სტუმარი.

მისი ინტერესების თვალსაჩინო საშუალებას მაძლევდა, შემეთავაზებინა სრულიად განსხვავებული ხასიათის მასალები და რედაქტორის უტყუარი ალო ყოველთვის უზუსტესად საზღვრავდა პუბლიკაციის დროს, ადგილს, ფორმასა და კონტენტს.

რომ არა ქალბატონი დალი, მისი კეთილგანწყობა, სიყვარული და თანადგომის უზარმაზარი უნარი, იქნებ ბევრი რამ არც დამენერა და, რა თქმა უნდა, ეს მოსაზრებები, შეხედულებები, თვალსაზრისები არც არასოდეს იხილავდა დალის სინათლეს. აკი მოღვაწეობა საზოგადოე-

ბრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში, შექმნილი გარემო, გაკეთებული საქმენი, არსებული სოციალური თუ კულტურული ვითარება მთლიანად ჩვენზე, ადამიანებზე დამოკიდებული. დალი გაბუნიამ შეძლო იმისთანა კვალის დატოვება, რომელიც როგორც ძველი, ისე ახალი თაობისთვის უკვე არის მაგალითი შრომისმოყვარეობისა, პრინციპულობისა, პროფესიონალიზმისა, კეთილშობილებისა, ღმერთის, სამშობლოსა და ადამიანების სიყვარულისა და ერთგულებისა.

სიკვდილი თითქმის ყოველთვის მოულოდნელია. ამიტომაც ჩნდება სინანული, რომ შეიძლებოდა მოგესწრო და კიდევ რაღაც გეთქვა ნა-

სულისთვის, მასთან ერთად კიდევ რაღაც გაგვეკეთებინა, ერთხელ კიდევ შეგველო რედაქციაში მის სანახავად ან ერთადერთი ყვავილი მიგერთმია, გვერძობინებინა, რომ იგი უყვართ, სჭირდებათ, მის გარეშე ყველაფერი სხვანაირად იქნება, უჩვეულოდ...

დალის გარდაცვალებამ ეს უზარალო ჭეშმარიტებათა კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა.

რა სამწუხაროა, რა მტკივნეულია, რა გამოუსწორებელია უთქვენობა, ქალბატონი დალი!

ღმერთმა საუკუნო განსვენება მოგვადლო! დედალეთისამ გადაგვართო თავისი კალთა! ანგელოზთა გიგალოზონ „სულიათანა“!

არქიმანდრიტი ალამი (პატრიარქის საკათედრო ეკლესიის მღვდელმთავარი, თამარ მეფის უნივერსიტეტის რექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსსუ საპატიო დოქტორი, პროფესორი

საპატიო პიროვნების თვალსაზრისით მოლაპარაკება

„...და გაიგებენ დიდი ხნის შემდეგ, რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი“ ტერენტი გრანელი

უკურნებელმა სენმა მოულოდნელად იმსხვერპლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს „სამედიცინო გაზეთის“ რედაქტორი, ქალბატონი დალი გაბუნიას.

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქტორის საპატიო თანამდებობაზე მან 36 წელი იმუშავა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლისას იმთავითვე მიიპყრო ყურადღება ნიჭიერებით და ჟურნალისტიკისთვის აუცილებელი თვისებებით: შრომისმოყვარეობით, სამართლიანობით, სიბრძნის ძიების სურვილით. არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ჟურნალისტიკურ საქმიანობაში ეტალონად მიიჩნევდა პროფესორ ნოდარ ტაბიძეს, დიდი გალაკტიონის მისიშვილს.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მისი საქმიანობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს დაუკავშირა, კერძოდ, მუშაობა დაიწყო გაზეთ „მედიცინის მუშაკის“ ჯერ კორესპონდენტად, სულ მალე კი რედაქტორის საპასუხისმგებლო მოვალეობა დაეკისრა, რასაც სიცოცხლის ბოლომდე წარმატებით გართუვა თავი. მისი ავტორტეტი შესამჩნევად იყო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პროფესორ-მასწავლებლებსა თუ სტუდენტებში.

გაზეთი პირუთენელი აღმწუსველი გახლდათ უნივერსიტეტის ცხოვრებისა; სისტემატურად შეუქმნებოდა სამედიცინო, პედაგოგიური, პრაქტიკული მედიცინის აქტუალური საკითხები. მნიშვნელოვანი იყო სტუდენტების აქტიური ჩართულობა სარედაქციო საქმიანობაში, რაც ქ-ნი დალის დიდი დამსახურება გახლდათ.

აღსანიშნავია, რომ ქ-ნი დალი ყოველთვის ამყობდა თავისი თანამშრომლებით, მათი ერთგულებით, ნიჭიერებით, ობიექტურობით, საქმისადმი კეთილსინდისიერ

დამოკიდებულებით და მათ სიყვარულით „ჩემს გოგოებს“ უწოდებდა.

უნდა ითქვას მისი საქმიანი და კოლექტიური დამოკიდებულების შესახებ კოლეგების მიმართ, იგი ყოველთვის პატივისცემით თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებსა ჟურნალისტებთან: ნინო მიქაბერიძესთან, ვახტანგ კახიანიანთან, ჯანგი მამალაძესთან, გვანჯი მანიასთან, გილა გომეზიასთან, ნინო კაკულიასა და სხვებთან.

გაზეთში ქალბატონი დალის ინიციატივით ბევრი საინტერესო რუბრიკა დამკვიდრდა: „ექიმ სპეციალისტთა დასახმარებლად“, „საერთაშორისო კონტაქტები“, „მედიცინის კორიფები“, „პრევენციული მედიცინა“, „შემოქმედი სტუდენტები“, „სტუდენტური გვერდი“, „ჩვენი კურსდამთავრებულები“, „იშვიათი დაავადებები“, „დიდმოქორნალები“, (საინტერესოა, რომ ეს უკანასკნელი სწორედ „სამედიცინო გაზეთის“ მეშვეობით გახდა აღიარებული ექიმებს შორის. ამ კომპოზიციის დანერგვა კი კონსტანტინე გამსახურდიას მიერ შემოღებული ტერმინის – „დიდოსტატის“ – გავლენით მოხდა). ქალბატონი დალი, კორესპონდენტებთან ერთად, ფართოდ აშუქებდა თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებს და სიმპოზიუმებს.

ქალბატონ დალის რედაქტორობისას გაზეთთან სისტემატურად თანამშრომლობდნენ სამედიცინო საზოგადოების სახელოვანი წარმომადგენლები: თამარ დეკანოზიძე, ეთერ ბოცვაძე, მარიამ გრიგალაშვილი, გივი ყვანია, გიორგი ბოჭორიშვილი, დავით კვაჭაძე, ზაზა და საულ კახიანიანი, სერგო ხუნდაძე, ქეთევან ანჯაფარიძე, ვასილ ბაბუხაძე, ოქროპირ გოგიბერიძე, თენგიზ ახმეტელი, ვაჟა გვანცელაძე, ვადიმ სააკაძე, რომანოზ სვანიშვილი, და სხვები. წლების მანძილზე გაზეთში იბეჭდებოდა პროფესორ გოგი ბოჭორიშვილის მოვლენები, რომელიც მკითხველის მონონებით სარგებლობდა. თავად ბატონ გოგის არაერთხელ

აღუნიშნავს, რომ ამ პუბლიკაციებმა მას სიცოცხლე გაუხანგრძლივა.

ცალკე უნდა ითქვას, ქალბატონი დალის ადამიანური ღირსებების და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ: მას „გაჭირვების ტალკეებს“ ეძახდნენ – ხშირად ეხმარებოდა სოციალურად დაუცველ და ხელმოკლე ადამიანებს: სტუდენტებს, მეზობლებს, ნათესავებს, აფხაზეთიდან დევნილებს... შეუპოვარი, უკომპრომისო, პირდაპირი ქალბატონი ჩემთვის ვაჟა ფშაველას პერსონაჟთან – დარეჯანთან, ასოცირდება. მის მსგავსად, იგი იყო უსამართლოდ დაჩაგრულია შემენე და დამცველი. განსაკუთრებით აღიზანებდა ბიუროკრატები და მედროვეები, რომელთაც საკადრისად უპასუხებდა ხოლმე.

ქალბატონი დალი გახლდათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას თანამოაზრე და თანამებრძოლი.

ქალბატონი დალი იყო ნამდვილი მოღვაწე (სულხან-საბას ლეჟიკონში მოღვაწე განმარტებულია როგორც მებრძოლი, მოჭირნახულე ადამიანი).

სანაქებო მეოჯახე, მეუღლე, დედა, ბებია, დედამამშვილი უდროოდ გამოეცალა ყველას – საშინელმა სენმა ოციოდ დღეში იმსხვერპლა სიცოცხლის მოყვარული ქალბატონი. ინგოროყვას მალაღტე-ქნოლოგიების სამედიცინო ცენტრის საუნივერსიტეტო კლინიკაში, პროფესორებმა: ბაადურ მოსიძემ, გონა ინგოროყვამ, მამუკა ქაცარავამ, მალხაზ მიზანდარმა ყველაფერი ილინეს ქალბატონი დალის გადასარჩენად, მაგრამ ამაოდ...

ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ ქალბატონ დალი გაბუნიას მოულოდნელი გარდაცვალებით დაკარგა საუკეთესო ჟურნალისტი და მოღვაწე-მამულიშვილი, რომლის სახელიც, გვეყრა, არასოდეს მიეცემა დავისწყებას.

სუტა კაჭკაჭია, ექიმი გასტროენტეროლოგი

„მრავალნი არიან მოწოდებულნი და მცირენი რჩეულნი“

დალი, შენ უნდა გესაუბრო, უკვე ნასულს, უკვე წარსულს...

მასხოვს, ის მიძიმე დღეები, შენი რედაქციისკენ რომ მოვეშურებოდი სულის მოსათქმელად. მოვეშურებოდი, რადგან იქ გვეგულვებოდა იმედი, ძალა, მხნეობა, სიმართლე... და ამ ყველაფერს შენ გვაძლევდი, შენ გვიჩინებდი – შეუდრეკელი, მამაცი და სიყვარულით სავსე, უკომპრომისო და მტ-

ლდა, მაგრამ მაინც ვინ იფიქრებდა, რომ რამე მოგერეოდა, – პრინციპში ვერც მოგერია, ბოლომდე იბრძოდი ოჯახისთვის – შვილებისა და შენი საყვარელი მეუღლისთვის! არ ჩაუწევი ავადმყოფობას, მიძიმე სენმა ვერაფერი დააკლო შენს ენერგიას, შენს თავდადებას! მეომარივით ხმალმემართული შეხვდი ბოლო წუთებს...

„ყველანი სიკვდილის შვილები ვართ“-ო, ზუსტნი ნათქვამია.

არავინ შეერჩებით ამ წუთისოფელს... გააჩნია, როგორ ვიცხოვრებო, რას და ვის დავტოვებო ჩვენ შემდეგ.

შენ, მართლაც, დატოვე ყველაზე მთავარი – სახელი ერთგული და მებრძოლი ადამიანისა... სახელი მართალი ადამიანისა... ეს ხომ უმთავრესია და ძნელი – იყო მართალი; ეს ხომ დიდი ვაჟკაცობაა ამ უსწარმასწარო და მრუდ წუთისოფელში... უფალს კი – „უფალსა უყვარან მართალნი“.



კიცე ადამიანი.

ჭეშმარიტი მშვენიერება წრფელი სულის ნიშანია. ამ სინაფელის მატარებელი იყავი შენ... ამიტომ იყო, რომ აფხაზეთში დატრიალებული უბედურების მსხვერპლნი შენ ოჯახში პოულობდნენ თავშესაფარს. ვიცი – მთელი ოჯახები შეიფარე, რაც გქონდა, მათ გამოკეებასა და გათბობას მოახმარე... შენ ხომ უშურველი ადამიანი იყავი.

მართალია, ტკივილი არ გაკ-


ვინც კარგად გიცნობდა, არასდროს დაგივინწყებს... რითაც დავინწყე, იმით დავამთავრებ:

„მრავალნი არიან მოწოდებულნი და მცირენი რჩეულნი“.

შენ რჩეული იყავი, დალი!

პროფესორი დარეჯან კუხიანიძე, თსსუ-ის ქართული ენისა და აკადემიური წერის ცენტრის დირექტორი

დალი გაბაშია - ქართული მედიცინის პაპატიონა



საოცრად ძნელია, წარსულში გაიხსენო ქალბატონი დალი გაბაშია. მშვენიერი მანდილოსანი, მომზინებული, გამჭრიახი გონების, მომზინებული, სიახლისადმი გახსნილი, შემოქმედი და ორგანიზატორი - უცრად გაქრა, წავიდა ამ ცხოვრებიდან, დატოვა სიცარიელე, რომლის შევსება არავის ძალუძს.

თითქმის ორმოცი წელი ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომელი იყო, ჯერ - მრავალტირაჟიანი გაზეთი „მედიცინის მუშაკის“, შემდეგ - „სამედიცინო გაზეთის“ რედაქტორი, რომლის წარმატებაშიც მან დიდი წვლილი შეიტანა. მიზეზთა გამო ეს გაზეთი სამედიცინო თემატიკისადმი მიძღვნილი ერთადერთია გაზეთია საქართველოში. ქალბატონმა დალიმ შემოიკრიბა კოლეგები, უნივერსიტეტის თანამშრომლები, სტუდენტები, ექიმები, შექმნა თანამოაზრეთა გუნდი და ერთიანი ძალისხმევით იშვა გაზეთი კი არა, ჭეშმარიტი მათიანე ქართული მედიცინისა. თავად ხომ წერდა ფრიად საინტერესო სტატიებს, განსაკუთრებულ რუბრიკებს ქმნიდა, ინვესტა ავტორებს, სპეციალურ ნომრებს უშვებდა, მატებდა ლაზარის გაზეთის იურს. რამდენი საინტერესო რამ იბეჭდებოდა მისი რედაქტორობისას - ოფიციალური

ინფორმაცია ხომ თავისთავად, რეპორტაჟები, მედიცინის ისტორიის ნარკვევები, პოლემიკური, სამეცნიერო-პრაქტიკული სტატიები, მოგონებები, ექიმების მხატვრული შემოქმედების ნიმუშები, ამბები უცხოეთიდან, უცხოეთში მოღვაწე ექიმების შესახებ მასალები და მრავალი სხვა.

შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჟურნალისტიკაში, არა მარტო ჩვენში, ყველგან, ორი ნაკადია: ერთი, სამწიფაროდ, საკმარისად ძლიერი, ადამიანის ქვედა გრძობების გამხარებელი - შეურაცხყოფა, მინასთან გასწორება, დაგესვლა, ავი ჭორები, გაცამტვერება, ერთი სიტყვით პიროვნების, მოვლენის, მიმართულების, ნაწარმოების, ქვეყნისა თუ ერის მინასთან გასწორება. მეორე - პირიქით, დადებითზე ამახვილებს ყურადღებას, გამარჯვებებსა და მიღწევებს. ჩვენი გაზეთი, უპირველესად, ალბათ, ქალბატონი დალის ძალისხმევით, მხოლოდ კეთილ გრძობებს ინვესტა - რამდენი სახელე გვექონია, რამდენი შეგვძლეხია, რამი აღარ გამოგვიხატია თავი; რანი ვიყავით და რანი ვართ და რანი შეიძლება ვიყოთ. ამ მასალების ნაკითხვისას სიამაყითაც იცხებოდი და სურვილი გებადებო-

და, არ ჩამორჩენოდი სხვას, კიდევ უკეთესი გაგვეკეთებინა. ვფიქრობ, აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის - ნახეთ, რამხელა ასპარეზია, რამდენის მიღწევას შესაძლებელი...

პიროვნულად ძლიერი ადამიანი იყო, ოჯახის შიგნით თუ გარეთ სიძნელებს არ ეუბებოდა, პირნათლად და თავდადებულად ასრულებდა მეუღლის, დედის და მამულიშვილის მოვალეობებს. ყველას დამხმარე იყო, ჭირისუფლობდა, უფლიდა... ვაგლახ, თავისთავს ვერ მიხედა...

მტკიცედ იდგა პატრიოტულ პოზიციაზე, ეროვნული ფასეულობანი მისთვის უმნიშვნელოვანესი იყო. მუდამ ცდილობდა არ შეემცდარიყავით მაცხოვრისა და ბარაბას გარჩევამი.

ცხოვრებას ზოგი ტრავერსს ამგავსებს, მწვერვალის დასაშტერას რომ გულისხმობს, ზოგიც ქარავანს. მივყვებით გზას, გზადაგზა ვკარგავთ მეგობრებს, ახლობლებს, თანამშრომლებს, გვრება მოგონება, ტკივილი, ბოლომდე შეუხორცებადი იარები გულზე, ვუძღვებთ სანამ შეგვიძლია და ქარავანი კი მიდის...

პროფესორი ყარაბან ზაღაზა

კათიღობიღების, შრომისმოყვარეობისა და პრინციპუღობის მებელითი

გახსენების მადლი განსაკუთრებული მადლია, რომლითაც ბუნებამ მხოლოდ ადამიანი დაავიღდოვა. გახსენება ზვავიღითაა, ის თოვლის პატარა გუნდიღან იწყება და უზარმაზარ მასად იქცევა. ამ მადლის გარეშე დარჩენიღი ადამიანი ნამდვიღად საცოღადია.

მასხენდებამ, 29 წლის წინ, სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტმა, როგორი მორიღებით შევადე „მედიცინის მუშაკის“ რედაქციის კარები... - მობრძანდიო... გაღმეღული სახით შემხვდა ერთი ქალბატონი. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ ეს ქალბატონი გაზეთის რედაქტორი დაღი გაბეღია იყო. ძალიან კარგად მასხოვს მასთან წერიღი მივიტანე, რომელიც ერთ-ერთი ექიმბაღის განცხადებბას ეხებოღა. მაღინ სამედიცინო ინსტიტუტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე (ჟურნალისტიკა) ვსწავლობდი, ბატონ გივი ხვედელიღესთან. სწორედ მან მირჩია მენახბა გაზეთის რედაქტორი. მან გულდასმით ნაკითხბა ჩემი ნაშრომი და კმაყოფიღი სახით მითხრა: „ჟურნალისტი არ ვიცი, მაგრამ თქვენგან გულისხმიერი ექიმი ნამდვიღად დადგებოღ“. ეს იყო ჩემი პირვეღი შეხვედრა ქალბატონ დაღისთან.

არ დამავიწყდებამ მისი სახე, როცა 9 აპრიღის ტრაგედიის შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტის ეზოში, თარხნიშვიღის ძეგლთან, ტანკი და პირვეღი კორპუსის უკან რუსი სპეცრაზმეღები დაინახბა. ქალბატონი დაღი აქტივისტ ახალგაზრდებს ყოველთვის სიმშვიღისა და გონიერებისკენ მოგვიწოდებდა. ანგანსვენებულ იუზა კობახიღესთან ერთად, მას ბევრი მაგალითი მოყავდა ჩვენი ქვეყნის ისტორიიღან მსგავსი განსაცდელეღის შესახებ. მათ მტკიცედ სჯეროდათ და ჩვენც შთაგვაგონებდნენ, რომ საქართველო ადრე თუ გვიან აუციღლებლად გახდებოღა თავისუფალი, მაგრამ თავისუფლებებისკენ მიმავალი გზა იქნებოღა ძალიან რთულად დასაძღვეი. ქალბატონი დაღი და

ბატონი იუზა სამშობლოს ბედნიერებისთვის გულანთებული პატრიოტების ეტაღონები იყვნენ და დღემდე ასეთებად დარჩნენ ჩვენს მეხსიერებაში.

ქალბატონი დაღისთვის მტკივნეული დარტყმა იყო აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დატრიაღებული ტრაგეღია, მაგრამ, მიუხედავად ამ საშინელი განცდიღისა, ის ყველანიარად ცდილობდა თანამოძმეღებისთვის ეს ტვირთი შეემსუბუქებინბა თავისი გულკეთიღობითა და მზრუნვეღობით.

არ არსებობდა მისთვის ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენბა, რომელსაც არ შეხებოღა.

ქალბატონი დაღი ხშირად სტუმრობდა ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრაზე ბატონ ელგუჯა ყიფიანს. შევსწრებვიარ მათ საუბრებს ბინათმშენებღობის საკითხებთან დაკავშირებით: იგი ყოველთვის სამართლიანობისკენ მოუწოდებდა ამ საქმეში ჩართულ სუბიექტებს.

რამდენიმე თვის წინ ქალბატონი დაღი, რედაქციის თანამშრომლებთან ერთად, იუზა კობახიღის მოსაგონარ პატარა შეკრებაზე მოვიპატივე ჩემთან, ცენტრში. გვიან საღამომდე ვსაუბრობდით და ვიხსენებდით იყვნენ, შრომობდნენ და მოღვაწეობდნენ.

სამწუხაროდ, ახლა უკვე ქალბატონ დაღიზეც წარსულ დროში მიწვევს საუბარი... უხმაუროდ დატოვა ეს წუთისოფელი და მის ყველა ახლობელსა და ნაცნობს დაგვიტოვა უდიდესი გულისტკივიღი და მონატრება.

ყოველთვის გვემახსოვრებით და მოგვენატრებით, ქალბატონი დაღი!

გრიგოლ სულაბერიძე, ასისტენტ პროფესორი, თსუ-ის მოსამზადებელი ცენტრის დირექტორი

ღიღი ღანაკიღი

არსებობენ ადამიანები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების, როგორც პატარა პლანეტის თანამგზავრებად ქცეულან და ჩვენი განუყოფელი ნაწილები არიან; თუმცა, მათ გარდა, არიან ისეთებიც, რომლებიც მანათობელ ვარსკვლავებად ბრწყინავენ მეზობელ გალაქტიკებში, იქედან გვიღამაზებენ სამყაროს; მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის არ ჩანან, მაინც მშვიდად ვართ მათი არსებობით და სიამოვნებას გვევრის მათი ნათელი შუქის ამობრწყინება ცის კამარაზე. არსებობენ ისეთნიც, ვინც კომეტასავით ჩაიქროლებენ ისე სწრაფად, რომ მხოლოდ ჩაფიქრებული სურვილების ახდენას ასწრებენ ჩვენთვის. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რა დრო გაატარა ჩვენ გვერდით, მთავარია თუ როგორ დაგვამახსოვრდა ერთად გატარებული დრო.

ჩემს ცხოვრებაში სწორედ ერთ-ერთ ასეთ ნათელ წერტილად მახსენდება ადამიანი, რომელიც მომიახლოვდა და გარკვეული დრო გაატარა ჩემს ატმოსფეროში ისე, რომ ეს დრო საკმარისი იყო თავი დაემახსოვრებინბა სითბოთი, ყურადღებით, მზრუნველობით და ისეთი უშუაღობით, რომელიც ყველას არ შეუძღია გააჩნდეს. სწორედ ასე დაგვახსიათებდი ქალბატონ დაღი გაბეღიას, რომ ეკითხბათ მასზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა ის ამ სიტყვებით მხოლოდ უნდა გავიხსენო... რაც მასზე მაგონდება, არის პირვეღი შთაბეჭდილება, როცა პირველად ჩემი რამდენიმე ლექსი ნაკითხბა და შეხვედრის სურვიღი გამოთქვა. დამორცხვებული მივედი რედაქციაში, იმ პატივის გამო, რაც მან ჩემ მიმართ გამოიჩინბა, მაგრამ შეხვედრისთანავე ჩემი მოწინება ისე გააქარწყლა მისმა მეგობრულმა და თანასწორმა დამოკიდებულებამ, რომ ორი წუთის შემდეგ ჩვენ უკვე მეგობრებით ვსაუბრობდით და ასეთად დარჩამ ეს ურთიერთობა წლების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ სულ თითზე ჩამოსათვლელად შეხვედრივართ; თუნდაც, დროის დიდი მონაკვეთით გასვლის შემდეგაც ჩვენი შეხვედრა ყოველთვის აქრობდა ამ დისტანციას. აღ-

ბათ ამიღომ იყო, რომ გულგრიღად არასდროს ჩამვიღია „სამედიცინო გაზეთის“ რედაქციის კართან: გუღისფანცქალით და იმ შეგრძნებით, რომ იქ ჩემი ნახბა უხაროდათ, იგივე მოწინებით დამიკაკუნებია მის კარზე. არ შემიძღია არ აღვნიშნო სარედაქციო კოლექტივი, ეს, მართლაც, ერთი პატარა თანავარსკვლავედი, რომლის სიმყუდროვეც ისე სასიამოვნოდ ასხივებდა, როგორც თბიღი ბუხარი სოფლად. იქ გატარებული დრო ყოველთვის საინტერესო იყო და, მიუხედავად სიმცირისა, საესე იყო დადებითი ემოციებით. ეს იყო ადგიღი, სადაც შეეძღოთ ყურადღებით და მზრუნვეღობით ესმინათ, მოეცათ რჩევები, ეწიღადებინათ, რაც კი შეეძღოთ სრულიად უანგაროდ; სადაც ყოველთვის მაცოცხება უდიდესი ენთუზიამი, თავდადება, შემართება და საკუთარი საქმის სიყვარული; რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ყოველივე იყო იმდენად გადამდები და შთამაგონებელი, რომ იქედან გამოსული ხდებოდი უფრო უკეთესი, გიწნდებოდა მოტივაცია, მომავღისთვის გებრძოღა და, რაც მთავარია, ეს ყოველივე გაძღედა მაგალითს, თუ როგორ შეიძღებოდა მოგენყო შენი მიკროსამყარო სიყვარულით. სწორედ ასეთად დარჩებამ ჩემს მეხსიერებაში თანავარსკვლავედი, რომელსაც ერთი მნათობი გამოაკღდა და სხვა სამყაროში გაღაინაცვლა...

ვიზიარებ ყველა იმ ადამიანის მწუხარებას, ვისაც ქალბატონი დაღის შუქი მოაკლდა; თანავუგრძნობ მის ოჯახს, რედაქციას, სამედიცინო უნივერსიტეტს, გაზეთის ყველა მკითხველს და გულშემატკივარს. ქალბატონი დაღი გაბეღია მოაკღდა ამ საქმეს, მაგრამ მისი სული ყოველთვის იტრიალებს იქ, სადაც შრომობდა და მისი ხსოვნა ყოველთვის იქნება სტიმული იმ საქმის ისეთივე რუღუნებით გაგრძეღებისთვის, რომლის გარეშეც „სამედიცინო გაზეთის“ რედაქციის არსებობბა, უბრალოდ, წარმოუღგენელია.

მადონა სხნიაშვიღი, ექიმი ნევროლოგი

ხმოვნა



ჩემი დიდი ბაბაია

პატივისცემის, გაფრთხილების უნარი, მისი მასალები პრობლემის აქტუალობიდან და სიმწვავიდან გამომდინარე მკითხველის ინტერესს და მონონებას იმსახურებდა, მალე იგი გაზეთის რედაქტორად დაინიშნა.

რედაქცია უნივერსიტეტელებით დაკომპლექტდა, ძველი თანამშრომლებიდან დარჩნენ: ნუნუ კაკუშაძე, ჯონდო გაფრინდაშვილი, გრიშა ტამბულაძე, მათ ახლადმოსულნი შევემატეთ: დალი გაბეშია, დარეჯან კობლაძე, მანანა ფხალაძე...

გაზეთის თითოეული ნომრის შემქმნისა ერთად ბევრი სიძნელე გადაგვილახავს, ახალგაზრდები ვიყავით და იოლად ვუმკლავდებოდით ყოველივეს: - ნომრის მასალების მოპოვებას, ძველ სტამბაში დაკაბადონებისა და ბექტვის დამქანცველ, რუტინულ სამუშაოს, ურთიერთობების სპექტრის მრავალნაწილაკოვნებას რთულ რესპონდენტებთან, ჯუჯულუნა მეტრამპაყვასთან თუ საამქროს უფროსთან, ცენზურის „კლანჭებს“, ოღონდაც ყოველი ნომერი საუკეთესო გამოსულიყო, ენერჯისა და დროს არ ვიშურებდით. გვიხაროდა როცა შეგვაქებდნენ, მოსწონდათ ჩვენი ნამუშევარი...

სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ გაზეთის შემოქმედებითი ჯგუფი ყოველთვის გრძობდა ყურადღებას და თანადგომას, საინტერესოდ მუშაობდა თანამშრომლებისა და სტუდენტებისგან შემქმნილი სარედაქციო კოლეჯისა... იღებოდა და იხურებოდა რედაქციის კარი, ვინ არ გვსტუმრობდა მნიშვნელოვანი და საინტერესო წერილებით სხვადასხვა აქტუალურ თემაზე.

ბევრი ადამიანი თანამშრომლობდა და მეგობრობდა ჩვენთან. დალიმ, ახალგაზრდა რედაქტორმა, ახალი სუნთქვა შთაბერა გაზეთს, მის მოსვლაზე დაწინაურებული და კრიტიკის ობიექტად ქცეული მრავალტარაფიანი გაზეთი სანიშნოდ გახდა...

და ასე ენაცვლებოდა წლებს წლები...

დალი გაბეშიამ 36 წელი გაატარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, რომელიც ძალიან უყვარდა, ზოგი ადამიანი ამდენ ხანსაც ვერ ცოცხლობს, ერთი ადამიანისთვის ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მრავალწლიანი მუშაობა, არჩეული პროფესიის სიყვარულს და თავდადებაზე მიუთითებს...

დალის სიმდიდრე ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც ცხოვრებამ შესძინა, ასე რომ, ექვირფასებოდა...

ზოგჯერ გაცხადებული იტყობა: - ჩვენი დედა-უნივერსიტეტის მერე, სამედიცინო უნივერსიტეტი თავისი წარმატებული და საამაყო ადამიანებით თუ ასე შემოიყვარებოდა, არ მეგონაო.

სამშობლო სიცოცხლეზე მეტად უყვარდა... მის მხრებზე გადაიარა ქვეყანაში მიმდინარე არაერთმა ქარტახილმა, გული ბევრ რამეზე სწყდებოდა, ბევრი პატრიოტისა და ადამიანის უდროოდ წასვლა სტიკოდა.

ბუნებით გულფიცი იყო, საუბრისას შეიძლება უნებურად წყენაც მიეყენებინა მოსაუბრისთვის, მაგრამ თუ ვინმეს მისი თანადგომა დასჭირდებოდა, ყველაფერს იფიცებდა, ოჯახის წევრებით გვერდზე დაუდგებოდა, ენერჯის მაქსიმუმის გაღება შეეძლო ადამიანების დასახმარებლად.

ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვისას, დალი თავის მეუღლე - გოგისთან ერთად, მრავალჯერ ამომდგომია მხარში, ტვირთი შეუმსუბუქებიათ სიტყვით, საქმით, ერთგულებით, უზომოდ მაღლიერი ვარ მათ!

დალი მხოლოდ ოჯახს: - გოგის, ეკას, სოფოს, გიგის, ბარბარეს, შალვას არ დააკლდა, იგი მრავალი ადამიანის იმედი და საყრდენი იყო...

ბევრი გულდაწყვეტილი ადამიანი დატოვა ამქვეყნად გულდათოთქული ნათესავ-მოკეთებელი მისი უცარი გარდაცვალებით გაცხადებული და თვალცრემლიანი: დედამიშვილები - ლალი, ერთადერთი შვილის დამკარგავი შავითოსილი, შუბლსაკრავიანი ქალბატონი, ორ შვილიშვილს მარტოდ-მარტო რომ ზრდის; მზისა, ტყუპის-ცალითი, რომ გაიზარდნენ; თამილა, ამირანი... ბევრი მეგობარი და მოკეთებურზე ბევრი ნაცნობი...

სიკვდილს ვინ გაქცევია, ღვთის ვალია, გაჩენისთანავე მოპყვება ეს ვალი კაცს. განგება ზოგისთვის ადრე ითხოვს ამ ვალის გადახდას, ზოგსაც კი დროს აძლევს. ვაგლას, ამ ვალის გადახდა დალი გაბეშიას ადრე მისთვისაა განგებამ, მაგრამ ფიზიკური სიკვდილი, დასასრული როდია, იგი შთამომავლობაში გადადის, და მეორდება ფერი, სიმალე, ღიმილი, ნიჭიერება, ადამიანური სითბო, სიყვარული...

სამიოდე კვირა იავდა, ყოველდღე იმედთან ერთად ილოდა, ქრებოდა... ყვითელი ოქტომბრის მზის ამოსვლას გაჰყვა მისი სული... უღამაზესი იყო სულეთში მიმავალი...

სულ მემამსოვრები, ჩემო დალი გაბეშია!

მანანა ფხალაძე

ქნაღი იქნაღა უთქვანოე..

არსებობს ამა თუ იმ ადამიანთან დაკავშირებული საოცრად ახლობელი, ხელშესახები განცდა, რომლის ახსნა ხშირად არც ძალგვიძს და არც გვწადა. უბრალოდ, ახლობელია და მორჩა... ალბათ ამიტომაც მისი ამქვეყნიდან წასვლით გაჩენილი ნაბრალის შევსება ძალზე ძნელი, ხშირად შეუძლებელიც გვეჩვენება...

ასეა თქვენი გარდაცვალების შემთხვევაშიც...

იმ მოსაზრების გათვალისწინებით, რომ ასეთ დროს სიტყვები უძღურია, იმთავითვე კატეგორიული ვიყავი ხმამალა გამომეხატა საკუთარი დამოკიდებულება თუ ემოცია... და ბოლოს, მაინც მომიზნა და ორიოდ სიტყვით დაგმწვიდობებოდა...

არ გავიხსენებ როგორ მოვედი, როგორ დამხვდით, როგორ გავრატყლეთ... ამ გზაზე ნაყოფიერი ურთიერთშეთანხმებული თანამშრომლობის, შემოქმედებითი მიგნებების, ადამიანური ურთიერთობებით განცდილი სიხარულის, თუ, უბრალოდ, სიყვარულის, კვალდაკვალ ყოფილა სირთულეებიც, აზრთა სხვადასხვაობაც, სიტყვის სიმძაფრეც, მაგრამ არასოდეს სიყალბე, უსულგულობა, შური, გაუტანლობა, სიძულვილი...

ყველაზე მკვეთრი შთაბეჭდილება, რასაც გაცნობისთანავე ტოვებდით, თქვენი გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი იყო - შეუძლებელია თქვენი დაფიქრება: არ შემიხვდრია თქვენზე ბრძოლისუნარიანი, შემართული, ენერგიული, გაუტყეველი ადამიანი. და რაც ყოველთვის მაოცებდა: არასოდეს მინახიხართ სუსტი და დამარცხებული!

რედაქციას მოენატრება თქვენი აჩქარებული ნაბიჯები, ემოციები, ხმამალა ნათქვამიც კი, რადგან თქვენს ყოველ ქმედებას გული წარმართავდა და სამართლიანობის აღსრულების სრულიად ბუნებრივი

ადამიანური მოთხოვნილება; სხვა საქმეა, ვინ რას მიიჩნევს სამართლიანობის შეფასების უტყუარ კრიტერიუმად, მაგრამ ჩვენ ხომ აქ გულწრფელობაზე, ანუ გულით ნაკარნახევ ქმედებაზე ვსაუბრობთ; უფალი კი გულს ხედავს უპირველესად და სძაგს ფარისევლობა: თქვენი ერთი დიდი ღირსებაც თვალთმაქცობისგან უცხოობა იყო. ბევრი მაგალითის გახსენება შეიძლება, მაგრამ ვამტკიცებთ, უბრალოდ, გიხსენებთ ისეთს, როგორც ბრძანდებოდა...

ხშირად ვიხსენებ ტოლსტოის ცნობილ ფრაზას: მე არ შემიძლია ადამიანზე ვთქვა, კარგია იგი თუ ცუდი, შემიძლია მოგახსენოთ, რომ მასში მეტია კარგი, ვიდრე ცუდი, ანდა - პირიქით... თქვენში იმდენი იყო კარგი... და იმდენის გახსენება შეიძლება... და იმდენ რამეზე მწყდება გული...

ხშირად მეჩვენებოდა, რომ იშვიათი განსხეულება ბრძანდებოდა დაულაღვი მემამბოხისა ყალბი წესრიგის წინააღმდეგ; ვფიქრობ, თქვენს შინაგან „უადგილობას“, შეუთავსებლობას ამგვარად „დალაგებულ“ სამყაროსთან ესეც განაპირობებდა...

ერთი ჩვეულებრივი კანონზომიერებაც დადასტურა თქვენმა უცარმა გარდაცვალებამ: ადამიანის ფასი მისი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ უფრო თვალნათლივ წარმოჩნდება ხოლმე. თქვენ იმდენ ვინმეს გამოგნებლად გამოეცალეთ (ოჯახს, ახლობელებს, თანამშრომლებს), რომ ადამიანებს უჭირთ გაცნობიერება: რა იქნება შემდეგ, მათი ცხოვრების ახალ ეტაპზე, რომელსაც „უთქვენოდ“ დაერქმევა...

კი, ძნელი იქნება უთქვენოდ... გაგვიჭირდება და... მოგვენატრებით...

ნატო გოლქვაძე

სადაც პართალნი ბანისკანაბან!



ძნელია მასზე, როგორც ჩვენს შორის უკვე არმოფხვ, ისაუბრო, მით უმეტეს, მაშინ, როცა ერთმანეთთან ურთიერთობის სამ ათეულ წელზე მეტი გაკავშირება, წლები, აღსავსე ახალგაზრდული რწმენით და ენერჯით, საქმის კეთების ფინით და უნარით... თანამდებობა დიდი პასუხისმგებლობა და მუდმივ გზანვრილზე სიარულია, რასაც არასდროს უშინდებოდა დალი, ომბახანი და შეუპოვარი პროფესიონალი...

ჭიდილი უყვარდა... არა მხოლოდ სიტყვასთან, - ცხოვრებისეულ სირთულეებთან და იშვიათად ტოვებდა

ასპარეზს დამარცხებული...

... ადვილი როდია ინტელექტუალური საზოგადოების სამსახური, მით უმეტეს, მის უდიდებულესობა - სტუდენტობასთან - ურთიერთობა. ამასაც ახერხებდა დალი, ყველა გზით და საშუალებით რომ ცდილობდა, თანამედროვეობის მაჯისცემის მკვეთრი შეგრძნებით ეცოცხლა შვილივით ნასათუთე მის გაზეთს...

...თავგადაკლული მეუღლე, დედა, ბებია, მეგრული სუფრის სანაქებო დიასახლისი, შინაურისა თუ გარემუსათვის თავდადებული ქალბატონი გახლდათ დალი გაბეშია, „მწყურვალ-

ისათვის წყლის უცილობლად მიმწოდებელი“ და სხვისი ჭირის უბაღლოდ გამოზიარებელი...

... უდროოდ გადასახლდა მარადიულ სამყოფელში, იქ, სადაც მართალი განისვენებენ...

... ძნელია მის შემდეგ დიდ სიცარიელესთან შეგუება, უმისობა რომ ჰქვია, ძნელია, მისი უსაზღვროდ დიდი სითბოს გარეშე ყოფნა, მით უმეტეს, საქმის კეთება...

მერწმუნე, რომ ეს ნამდვილად ასეა, დალი!

დარეჯან კომლაძე



გაზეთისთვის!

კაი ყაა

ჩაფიქრდი და თვალწინ გაიელვა წარსულის წლებმა. ჩვენო გია, ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. ჯერ კიდევ სტუდენტი, გამორჩეული იყავი კურსზე. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა. ბატონმა შალვამ გვითხრა: „ეს ბიჭი დასაკარგი არ არის, იგი კათედრაზე უნდა იყოს“. თუმცა, ის ვერ მოესწრო შენს კათედრაზე მოსვლას, მაგრამ, უფლის ნყალობით, შენ კათედრაზე აღმოჩნდი. გიამ მუყაითი შრომითა და პასუხისმგებლობის გრძნობით იმდენს მიაღწია, რომ სულ მალე კათედრის განუყოფელი ნაწილი გახდა. იგი იმდენ სითბოს აფრქვევდა, ყველა თანამშრომელი დილით მის ოთახში შედიოდა, რომ მთელი დღის განმავლობაში დადებითად დამუხტულიყო. ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, ვინც გიაზე აუტყვის. მისი პიროვნული ღირსებები და კეთილშობილება განუზომლად დიდია.

გიამ თავიდანვე გამოიჩინა ინტერესი სამედიცინო მუშაობისადმი. იგი აქტიურად ჩაერთო კათედრის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და სრულყოფილად დაეუფლა მორფოლოგიური კვლევის საკმაოდ რთულ და ძნელად ასათვისებელ მეთოდებს. მისი სადისერტაციო ნაშრომი – „ღვიძლის მიკროციტოლოგიური მოდულის თავისებურებანი ქოლესტაზის დროს მისი სისხლის მიმოქცევიდან დროებითი გამოთიშვის ფონზე“ – გაგრძელება იმ დიდი შრომისა, რომელსაც კათედრა ეწევა მრავალი ათეული წელია.

გიამ დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივში. იგი ყოველთვის მონიხავე პედაგოგების რიგში იდგა. რექტორატმა გაითვალისწინა რა მისი მაღალი კვალიფიკაცია, მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობა, დანიშნა თსსუ-ის მოსამზადებელ ცენტრის დირექტორად, სადაც დღემდე აგრძელებს მუშაობას. გიას არ მიუტოვებია პედაგოგიური მუშაობა. იგი არჩეულია კერძო დინამიკური მორფოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელად.

გიამ სამაგალითო ოჯახის ღირსეული თავაყვია. მისი მეუღლე ელისო – გამორჩეული ექიმი და ადამიანია. ქალიშვილი მარიამი – სამედიცინო უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტია. იგი არ ღალატობს ოჯახის ტრადიციებს და აქტიურად მონაწილეობს სტუდენტურ ღონისძიებებში.

წლებმა გაიზარდა და აი, გიაც 50 წლისაა. ჩემო მეგობარო და უმცროსო კოლეგა, გისურვებ ამალღებულ განწყობას, სიხარულიან დღეებს, წარმატებებს პირად საქმიანობაში; უფლის ნყალობა არ მოკლებოდეს შენს ოჯახს!

პროფესორი ლია კიკაღვიძილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ელგუჯა ჟიფიანი, თსსუ-ის მრჩეველთა საბჭოს წევრი



სენოთ ჩვენი ურთიერთობიდან, რომელიც თითქმის სამ ათეულს იტევს. მას – ყოველთვის საინტერესო იდეებით აღსავსეს, შემოქმედებითი მუხტით დამუხტულს, შესაშური ურთიერთობა აკავშირებს ჩვენთან, ისეთი, უდავოდ, რომ ალამაზებს და მრავალფეროვნების იერს სძენს, ზოგადად, არცთუ იოლად მოსაპოვებელ ადამიანურ ურთიერთობებს.

რედაქცია დღეგრძელობს უსურვებს მას – ღვთისმოსავ და სითბოთი აღსავსე პიროვნებას, განსწავლულს და ადამიანურ ურთიერთობების იშვიათი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს – ყველას იმედად და გასახარად!

ღამომ დაყვანობიძის ვახსენებ

უპოქალური ბაცნიარი



ნოსტრების საქმეში. დეონტოლოგიის საკითხების ღრმა მცოდნე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მთავარი პათოლოგანატომი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ასევე, იყო ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, ქართული მედიცინის ენციკლოპედიური ცნობარის მთავარი რედაქტორი, სამედიცინო გაზეთებისა და ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და დარგობრივი სამეცნიერო აკადემიების ერთ-ერთი ყველაზე ინიციატივიანი წევრი. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი სტუდენტებთან დამოკიდებულება – მან არაერთი ღირსეული ექიმი და მეცნიერი აღუზარდა ქვეყანას.

თა ასოციაციის თავმჯდომარემ, პროფესორმა **ომარ ხარძეიშვილმა** და სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **ნიკოლოზ გვაზავამ**.

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია კიდევ ერთხელ გამოხატავს სიყვარულს და დიდ პატივისცემას ქალბატონი თამარის ხსოვნისადმი, რომელთანაც ათეულწლების განმავლობაში ნაყოფიერი საქმიანი თუ ადამიანური ურთიერთობები აკავშირებდა.

ახლახან თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის, პათოლოგიური ანატომიისა და ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის ინიციატივით, ჩვენს უნივერსიტეტში ჩატარდა დიდი ქართველი მეცნიერის, პედაგოგის, მედიკოსის, აკადემიკოს **თამარ დეკანოსიძის** ხსოვნის საღამო. ღონისძიება ქალბატონი თამარის დაბადებიდან **91 წლისთავს** მიეძღვნა.

სამედიცინო მეცნიერებას; იგი, როგორც პედაგოგი, პრაქტიკოსი ექიმი, მეცნიერებასა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში ყოველთვის სამართლიანობის დამცველი იყო და უმთავრესი კანონი, რითაც ცხოვრობდა ქალბატონი თამარი, გახლდათ სახელმწიფოებრივი და ეროვნული ცნობიერების პრიორიტეტულობის აღიარება. გარდა მეცნიერულ-საზოგადოებრივი ავტორიტეტისა, მან განსაკუთრებული ნდობა დაიმსახურა ბიოფიზიკური და ოპერაციული მასალის უტყუარი მიკროსკოპული დიაგნოზის საკითხებში.

საზოგადოებას სიტყვით მმართველს და დიდი მედიკოსი გაიხსენეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ**, ვიცე-რექტორმა, პროფესორმა **რიმა ბერიაშვილმა**, პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **რამაზ ჩხლაძემ**, უროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **დავით ქორიაშვილმა**, სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ბესიკ კილასონიამ**, თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტის პროფესორმა, **დიმიტრი კორძიამ**, საქართველოს პათოლოგანატომ-

სახეოვანი იუბილეოი
პროფესორი ბანი (ბანო) ლაქანოსიძე 80 წლისაა!

არიან ადამიანები, რომლებიც საქვეყნო საქმეს უზნაურად და მონივნებით აკეთებენ. სწორედ ერთი ამათავანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ტერპენული შენაერთების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი გენრი დეკანოსიძე**. ნიჭიერებით და საქმის თავდადებათ გამოჩეული მეცნიერი 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომის და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორია, არაერთი საერთაშორისო კონგრესისა და სიმპოზიუმის მონაწილე, 20 საავტორო მონაწილისა და პატენტის მფლობელი. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 5 სადისერტაციო ნაშრომი, შემუშავებულია რამდენიმე ორიგინალური პრეპარატი, წლების განმავლობაში გახლდათ ფარმაცევტულ მეცნიერებათა სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, არაერთი დისერტაციის და სამეცნიერო ნაშრომის ოპონენტი, რეცენზენტი და ექსპერტი. ქართულ ფარმაცევტულ მეცნიერებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის და ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, პროფესორ გენრი დეკანოსიძეს საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ნობეა მიენიჭა.



თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ულოცავს ბატონ გენრის სახელოვან იუბილეს, მადლობას უხდის ქართული სამეცნიერო და პრაქტიკული ფარმაციის განვითარების საქმეში განუღებელი ღვაწლისთვის, უსურვებს ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს!

